ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №037

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ: სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“ (შემდგომში - შემსყიდველი), მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №138. წარმოდგენილი სწავლების ცენტრის დირექტორის ნათია ზაალიშვილის სახით,

მეორე მხრივ: შპს „სქაინეთ დისტრიბიუშენ“ (შემდგომში - მიმწოდებელი), მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. #3-5, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით მელექსიშვილის სახით,

ადასტურებენ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის გზით (მონეტარული ზღვრის დაცვით), სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ამ ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელი შემსყიდველის წინაშე იღებს ვალდებულებას გაუწიოს №1 ცხრილში მოცემული პროექტორებისთვის (BENQ MS500H) და პრინტერისთვის (HP laserjet M1132 MFP) სხვადასხვა სახის მომსახურება - **კლასიფიკატორის CPV) კოდით – 50310000 საოფისე აპარატურის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება**, ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

№1 ცხრილი

N	შესყიდვის ობიექტი	პროექტორების სერიული ნომრები	საგარანტიო პირობები	რაოდენობა ცალი	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება
1	პროექტორის (BENQ MS500H) ლინზისა და ოპტიკის გაწმენდა	(PD55C04654000), (PD55C04862000) (PDN5C03506000),(PD55C04664000) (PDN5C03521000),(PD55C04612000) (PDN5C03498000),(PD55C04813000)	მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში	8	50	400
2	პროექტორის (BENQ MS500H) დედა დაფის შეკეთება	(PD55C04877000), (PD55C04659000) (PD55C04859000), (PD55C04633000) (PD55C04903000), (PD55C04834000)	მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში	6	120	720
3	პროექტორის DMC CHIP მატრიცის შეცვლა	(PD55C04874000)	მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში	1	180	180
4	პრინტერის (Xerox workcentre 3215) ფორმატერის შეცვლა		მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 6 თვის განმავლობაში	1	180	180

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 2022 წლის 16 აგვისტოსი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს **1480 (ათას ოთხას ოთხმოცი)** ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1 გაუწიოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის მომსახურება.

4.1.2 გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

4.1.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

4.1.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. სტანდარტები

გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და უნდა იყოს მხარეთა შორის შეთანხმებული ხარისხის.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებისთანავე (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი) დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.3 ამ მუხლით გათვალისწინებული მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

6.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას, ასევე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს შემსყიდველის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სპეციალისტი ზვიადი ჭელიძე.

7. პროდუქციის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილება.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების მოცულობის და წუნდების მიზეზების შესახებ.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;

8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტი.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული პროდუქციის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

8.4 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების

შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 პუნქტის შესაბამისად.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს, მხარეები იტოვებენ უფლებას, რომ შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოითხოვონ შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.4 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 20%-ის ოდენობით ვალდებულების სრულად შეუსრულებლობისათვის, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების 10%-ის ოდენობით.
10.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ელექტრონული შტამპის ან ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებიდან (მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ელექტრონული დამოწმებიდან) და მოქმედებს 2022 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკულების დამდებ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში. იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზის დამდები პირები, ამავდროულად ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

17. სხვა პირობები

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია ელექტრონულად (დოკუმენტზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დოკუმენტი დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №138
ს/კ: 205296188
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22; ანგ №GE24NB0330100200165022

ნათია ზაალიშვილი

დირექტორი

Electoral Systems Development,reforms and Training Centre

Digitally signed by Electoral Systems Development,reforms and Training Centre
Date: 2022.07.15 15:52:30 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს „სქაინეთ დისტრიბიუშენ“
მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. #3-5
საიდენტიფიკაციო კოდი: 427740000
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს “თიბისი ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის #GE23TB7052936020100013

დავით მელექსიშვილი

დირექტორი

Davit Meleksishvili 01013020809

Digitally signed by Davit Meleksishvili
Date: 2022.07.15 17:01:24